N815/11
15.12.16

სს „აი თი დი სის" წილის 51%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას წერილით მიმართა სს 2აი თი დი სიმ" (კომისიაში წერილების რეგისტრაციის №შ-6/12474-16, 25.11.2016 და №შ-6/12583-16, 30.11.2016), სს 2აი თი დი სის" (ს/კ 404399664) პარტნიორების ფიზიკური პირის მამუკა მონავარდისაშვილის წილის 19,4%-ის, ფიზიკური პირის გიორგი გარსევანიშვილის წილის 19,4%-ის და ფიზიკური პირის გურამ ხუნდაძის 12,2%-იანი წილის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომლის წილის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ **სს 2აი თი დი სი"** წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

მაუწყებლობის ტრანზიტი

B.F.6. გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სს 2აი თი დი სის" მიერ (კომისიაში წერილების რეგისტრაციის №შ-6/12474-16, 25.11.2016 და №შ-6/12583-16, 30.11.2016) კომისიაში წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- კომპანიის საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- სს 2აი თი დი სის" შემოსავლების შესახებ;
- წილის შეძენის მსურველი შპს „დიჯითალ ედსის“ შემოსავლების შესახებ;
- სს 2აი თი დი სის" ურთიერთდამოკიდებული/აფილირებული პირების შესახებ;
- შპს „დიჯითალ ედსის“ ურთიერთდამოკიდებული/აფილირებული პირების შესახებ;
- სს 2აი თი დი სის" აქციონერების გასასხვისებელი წილების ოდენობების შესახებ.

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით სს 2აი თი დი სის" (ს/კ 404399664) დირექტორი და 35%-იანი წილის მფლობელია მამუკა მონავარდისაშვილი, წილის 35%-ის მფლობელია ფიზიკური პირი გიორგი გარსევანიშვილი, წილის 20%-ის მფლობელია ფიზიკური პირი გურამ ხუნდაძე და 10%-იანი წილის მფლობელია „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი“ (ს/კ 204426282).

„საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარეა მამუკა მონავარდისაშვილი, ხოლო გამგეობის წევრები არიან ფიზიკური პირი გიორგი გარსევანიშვილი და ფიზიკური პირი გიორგი ჩხეიძე.

სს 2აი თი დი სი" 50%-იანი წილის მფლობელია შპს „ქლაუდ ცხრაში“. შპს „ქლაუდ ცხრის“ წილის 50%-ის მფლობელია შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“, ხოლო დირექტორი თეონა მარტაშვილი.

შპს „ქლაუდ ცხრა“ (ს/კ 405063755) წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“ (ს/კ 404462283) წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯიას“ წილის 50%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ალექსანდრე შახ-ნაზაროვი, 50%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი კონსტანტინე ქაროსანიძე, ხოლო დირექტორი თეონა მარტაშვილი.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით <u>დგინდება</u> **შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯიას“** წილის 50%-ის ფიზიკური პირის ალექსანდრე შახ-ნაზაროვის, წილის 50%-ის მფლობელის ფიზიკური პირის კონსატანტინე ქაროსანიძის, შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯიას“ და შპს „ქლაუდ ცხრის“ დირექტორის თეონა მარტაშვილის აფილირებულობა **შპს „ქლაუდ ცხრასთან“, სს 2აი თი დი სისთან“** და **„საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრთან“.**

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს „დიჯითალ ედსი“** არ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს „დიჯითალ ედსის“** წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი გივი გურასპაული, წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ნიკოლოზ გაბელია, წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ანდრო კიკნაძე, წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი კონსტანტინე ჭავჭანიძე, წილის 51%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ლევან ჭიორელი, ხოლო დირექტორი ირაკლი ცინცაძე.

შპს „დიჯითალ ედსის“ დამფუძნებლების ფიზიკური პირები გივი გურასპაული, ნიკოლოზ გაბელია, ანდრო კიკნაძე, კონსტანტინე ჭავჭანიძე, ლევან ჭიორელი და დირექტორი ირაკლი ცინცაძე კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრში არ ფიქსირდებიან.

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს „დიჯითალ ედსი“ შპს „აიმუვის.ჯის“** (404987289) წილის 60%-ის მფლობელია, ხოლო **შპს „აიმუვის.ჯის“** დირექტორი და 40%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი შოთა ჩლაიძე.

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს „აიმუვის.ჯი“** წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით <u>დგინდება</u> **შპს „აიმუვის.ჯის“** დირექტორის და წილის 40%-ის მფლობელის ფიზიკური პირი შოთა ჩლაიძის აფილირება **შპს „დიჯითალ ედსისთან“.**

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით **სს 2აი თი დი სის", შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯიას“, შპს „ქლაუდ ცხრის“, „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის“** და **შპს „აიმუვის.ჯის“** შემოსავლები, აბონენტების რაოდენობა, შესაბამისად მათი ხვედრითი წილები მოცემულია ცხრილი =1-ში:

ცხრილი =1

	მაუწყებლობის ტრანზიტის სააბონენტო შემოსავლები (ინტერნეტი)		მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების რ-ბა (ინტერნეტი)		სხვა საცალო საკომუნიკაციო მომსახურება - ჰოსტინგი	
	01.06.2016 -30.09.2016 პერიოდი				01.06.2016 -30.09.2016 პერიოდი	
	ლარი	%	ცალი	%	ლარი	%
აი თი დი სი	**8,441**	**30.47%**	**117**	**5.52%**		
ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია					**202,986**	**12.97%**
ქლაუდ ცხრა					**249,884**	**15.96%**
საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი						
აიმუვის ჯი						

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით <u>დგინდება</u> **სს 2აი თი დი სის"** აფილირებულობა **შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯიასთან“, შპს „ქლაუდ ცხრასთან“, „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრთან“,** რადგანაც **„საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი“** არის **სს 2აი თი დი სის"** 10%-იანი წილის მფლობელი, **სს 2აი თი დი სი"** არის **შპს „ქლაუდ ცხრის“** 50%-იანი წილის მფლობელი, ხოლო **შპს „ქლაუდ ცხრის“** 50%-იანი წილის მფლობელი არის **შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“** (ცხრილი =2).

ცხრილი =2



კვლევისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სს “აი თი დი სის“ შემოსავლები შედგება: ა)ინტერნეტ ტექნოლოგიით მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებული სააბონენტო შემოსავლებისაგან და ბ)სარეკლამო შემოსავლებისაგან. ინტერნეტ ტექნოლოგიით მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულ სააბონენტო შემოსავლებში სს “აი თი დი სის“ ხვედრითი წილი 30,47%-ს შეადგენს.

კომისია აღნიშნავს, რომ მომსახურების ეს სეგმენტი არ არის განსაზღვრული როგორც რეგულირებას დაქვემდებარებული სეგმენტი, შესაბამისად, შპს „დიჯითალ ედსი“ მიერ სს “აი თი დი სი“ წილის 51 პროცენტის შეძენა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის რომელიმე სეგმენტზე გავლენას ვერ იქონიებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზრის იმ სეგმენტებზე, სადაც მხარეები საქმიანობენ კონკურენტული გარემო უცვლელი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აი თი დი სის“ წილის 51%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „აი თი დი სის“ წილის 51%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „აი თი დი სის“, შპს „აი თი დი სის“ წილის 51%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე.
2. განემარტოს შპს „აი თი დი სის“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „აი თი დი სი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების შპს „აი თი დი სისათვის“ დაუყოვნებლივ გადაგზავნა (ი. ხარებავა);
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „აი თი დი სისათვის“ ჩაბარების დღიდან;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), ამ გადაწყვეტილების შპს „აი თი დი სისათვის“ ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	კახა ბექაური
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	კახა ბექაური
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე